

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/1403; 02.03.2022 წერილში მოცემულ შენიშვნებზე პასუხის ცხრილი

| N | კომენტარი | პასუხი |
|---|--|--|
| 1 | <p>დოკუმენტს დართულ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/6864; 11.11.2022 წერილში მოცემულ შენიშვნებზე პასუხის ცხრილში მითითებულია, რომ „პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ საკანალიზაციო ქსელის და ჭეხის დემონტაჟს“, თუმცა გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, მათ შორის, დოკუმენტის 3.2. თავში აღნიშნულია, რომ „გამწმენდი ნაგებობის მოწყობა შედგება რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან და მოიცავს ჩამდინარე წყლის არსებული გამწმენდი ნაგებობის დაშლა/დანგრევას და ნარჩენების გატანას. ამასთან, “ 7.3.1. ქვეთავში მითითებულია, რომ ხმაურის მონიტორინგი განხორციელდება ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების (მათ შორის არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის) დროს. არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის საკითხი აგრეთვე ნახსენებია გზშ-ის ანგარიშის მე-7 თავის სხვადასხვა ნაწილში და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში. ხოლო დოკუმენტის 3.8. თავში აღნიშნულია, რომ „გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია სრულიად თავისუფალია ნარჩენებისგან, არ შეინიშნება ძველი ინფრასტრუქტურა. ამდენად ტერიტორიაზე სადემონტაჟო სამუშაოები არ შესრულდება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;</p> | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია. როგორც გზშ-ის ანგარიშის 3.8 თავშია მოცემული, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია სრულიად თავისუფალია ნარჩენებისგან, არ შეინიშნება ძველი ინფრასტრუქტურა.</p> <p>პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ საკანალიზაციო ქსელის და ჭეხის დემონტაჟს. რაც შეეხება არსებული გამწმენდის დემონტაჟს, ანგარიშში მოცემული იყო უზუსტობა, რაც დაკორექტირდა მე-7 თავში.</p> |
| 2 | <p>გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ დღეისათვის, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 1077 სულს, საიდანაც 877 დაკავშირებული იქნება N1 გამწმენდთან, ხოლო 200 - N2 გამწმენდთან, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წლიდან მოსახლეობა მუდმივად მცირდება (-1,0% წელიწადში) ხოლო გზშ-ის ანგარიშის 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავების თანახმად, 2014 წლის აღწერის მიხედვით, შუახევის მოსახლეობა 797 კაცს შეადგენს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორ მოხდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის შეფასება და როგორ იქნა მიღებული ციფრი 1077. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში - ცხრილი 10.1. (რეაგირება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N45 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხები) კვლავ აღნიშნულია, რომ გამწმენდი გათვლილია 1000 სულ მოსახლეზე, რაც არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშის ტექსტურ ნაწილში მოცემულ ინფორმაციას;</p> | <p>შუახევის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის შემცირების ტენდენცია კარგად ჩანს 5.7.1.1. ცხრილში (გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში მოცემულია არა მხოლოდ დაბა შუახევის, არამედ მთლიანად, შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა). რაც შეეხება 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავებში მოცემულ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებული „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგიის“ თანახმად. საყოველთაო აღწერის ეტაპზე, ის მოქალაქეები, რომლებიც ფაქტობრივად არ ცხოვრობენ იურიდიულ მისამართზე (მაგ. ემიგრანტები, მოსახლეობა რომელიც საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში, მაგ ბათუმში, თბილისში და ა. შ.) ვერ აისახებოდა საყოველთაო აღწერის შედეგებში. ციფრი 1077, მოწოდებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ. ვინაიდან გამწმენდი ნაგებობა გათვლილია</p> |

| | | |
|---|--|---|
| | | <p>ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის, დაბა შუახევიდან მიგრირებული მოსახლეობა ვერ იქნებოდა უგულვებელყოფილი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საყოველთაო აღრიცხვის და ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობის განსზღვრის მიზანი რადიკალურად განსხვავდება საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შერჩევისთვის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის მიზნებისგან. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავებში მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტების მიზანი, ასევე რადიკალურად განსხვავდება ზემოთ აღნიშნულისგან, კერძოდ, აღნიშნულ თავებში, მოსახლეობის რაოდენობის ცოდნა საჭიროა ემისიების ანგარიშში ფონური მონაცემების დაზუსტებისთვის. მოქმედი კანონის მიხედვით, ტერიტორიებზე, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 10 000 მოსახლეს, ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების დონე ნულის ტოლია. შემდგომში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია შეიცვალა შემდეგი ჩანაწერით: „ნაკლებია 10 000 ადამიანზე“. იხ. 7.1.1.6 და 7.1.2.6. ქვეთავები.</p> <p>რაც შეეხება 10.1 ცხრილში მოცემულ უზუსტობას, უზუსტობა შესწორებულია (იხ. 10.1 ცხრილი).</p> |
| 3 | <p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ცალკე სალამე მოედნების მოწყობა გათვალისწინებული არ არის (ქვეთავი - 3.4 ლამის მართვა), თუმცა, გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის 7.1.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ არასასიამოვნო სუნის გამომწვევი მერკაპტანები გამოიყოფა, ასევე, სალამე მოედნებზე, ხოლო 7.3.2. ქვეთავში ხმაურის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ მითითებულია სალამე მოედნებთან მოქმედი ავტოდამტვირთავი, ასევე, 7.7.2. ქვეთავში აღნიშნულია, რომ სალამე მოედნების ფსკერი მოეწყობა ჰიდროსაიზოლაციო ფენით. დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილები შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;</p> | <p>გზშ-ის ანგარიში 3.4 ქვეთავში მოცემული ინფორმაციით, ლამი გროვდება CW უჯრედების ზედაპირზე, სადაც ხდება მისი სტაბილიზაცია, შესაბამისად, ცალკე სალამე მოედნების მოწყობა გათვალისწინებული არ არის, როგორც ეს იყო შუახევი 1-ს პროექტის შემთხვევაში. შუახევი 2-ს შემთხვევაში, ლამის სტაბილიზაციისთვის არ მოეწყობა ცალკე მოედნები, თუმცა ლამის სტაბილიზაციის დროს მოსალოდნელი ემისიები და ხმაური შეფასებულია, ვინაიდან სტაბილიზაცია მოხდება CW უჯრედების ზედაპირზე,</p> |

| | | |
|---|---|---|
| 4 | გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგია წარმართება თვითდენით, ტუმბოების გამოყენების გარეშე. თუმცა 3.2.5 ქვეთავი შეიცავს საწინააღმდეგო ინფორმაციას. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. 3.2.5.თავი |
| 5 | ზდრ-ის ნორმების პროექტში, ასევე არატექნიკური რეზიუმეს მატერიალურ ვერსიაში წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის კოორდინატები არ ემთხვევა გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ კოორდინატებს და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. ზდრ ნორმების პროექტი და არატექნიკური რეზიუმე |
| 6 | გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის გამოყოფილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. აღნიშნული ნაკვეთების საკადასტრო კოდი იყო: N24.02.32.059.631, რომელიც 2023 წლის 26 იანვარს გაიმიჯნა სამ ნაკვეთად და დღეისათვის მათი საკადასტრო კოდებია: N24.02.32.059.639; N24.02.32.059.638 და N24.02.32.059.637, რაც არ შეესაბამება პროექტის არატექნიკურ რეზიუმეში მოცემულ ინფორმაციას. ამასთან, გზშ-ის ანგარიშს დართული საჯარო რეესტრიდან ამონაწერები არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, საჭიროა განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა; | შენიშვნა გათვალისწინებულია, განახლებული ინფორმაცია იხილეთ გზშ-ის ანგარიშის მე-5 დანართში |
| 7 | დოკუმენტის მე-2 ნაწილში „გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები“ წარმოდგენილი ცხრილი საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. გზშ-ის ანგარიშის მე-2 თავი |
| 8 | დოკუმენტის 3.7. ქვეთავში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ფორმულით მოხდა მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული და ჩამდინარე წყლების მოცულობების გამოთვლა; | აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება „კომუნალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესებს“ - СНиП 2.04.03-85. აქვე გაცნობებთ, რომ, აღნიშნული წესები „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების , წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების შესაბამისად, ძალაშია |
| 9 | გზშ-ის ანგარიშის 7.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები წარმართება მაქსიმუმ 1 წელიწადის განმავლობაში. თუმცა, დოკუმენტის 13.4 დანართის თანახმად, „მშენებლობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მისი ექსპლუატაციაში გაშვება სავარაუდოდ მოხდება არაუადრეს 2 წელიწადისა“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას, აგრეთვე, კვლავ საჭიროებს დაზუსტებას პროექტის განხორციელების ვადები და გრაფიკი; | გზშ-ის ანგარიშის 3.6 და 7.1 თავებში შეტანილი იქნა შესაბამისი შესწორება, კერძოდ, პროექტის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 2 წლის განმავლობაში, თუმცა, ზამთრის პირობებში სამუშაოები წარმოება შეუძლებელია. ამიტომ, წლის განმავლობაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადად აღებულია 200 სამუშაო დღე, დაახლოებით 6 |

| | | |
|----|--|---|
| | | თვე, ხოლო 6 თვის განმავლობაში (სავარაუდოდ ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით, სამუშაოების წარმოება შეუძლებელი იქნება). |
| 10 | ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდრ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცლის მე-3 დანართში საწარმოს დასახელების გრაფაში მოცემულია „დაბა ხულოს საკანალიზაციო (სამეურნეო-საყოფაცხოვრებო) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რაც საჭიროებს კორექტირებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. ზდრ ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი. |
| 11 | ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდრ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცლის მე-2 დანართიდან ამოსაღებია მე-2 პუნქტი; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. ზდრ ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი. |
| 12 | გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ 3.2.5.1. ცხრილში (გამწმენდი ნაგებობის ძირითადი პარამეტრები) წარმოდგენილი ჩადინების დაბინძურების დატვირთვები არ შეესაბამება 3.3.2. ცხრილსა და ზდრ-ის ნორმების პროექტში წარმოდგენილ ინფორმაციას და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზმ-ის ანგარიშის 3.3.2. ცხრილი და ზდრ ანგარიშში 4.2.5.2. ცხრილი. |
| 13 | გზმ-ის ანგარიშში და ზდრ-ის ნორმების პროექტში კორექტირებას საჭიროებს ექსპლუატაციის ეტაპზე მოხმარებული წყლის მოცულობები; | შენიშვნა გათვალისწინებულია. ზდრ ნორმების პროექტში მე-5 თავი შესწორდა გზმ-ის ანგარიშის 3.7 თავის შესაბამისად. |
| 14 | გზმ-ის ანგარიშში, 5.3.2. ქვეთავში წარმოდგენილი აჭარის რეგიონის გეოლოგიური რუკა (ნახაზი 5.3.2.1.) და 5.3.3. ქვეთავში წარმოდგენილი სეისმური საშიშროების რუკა არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიას და საჭიროებს კორექტირებას; | შენიშვნები გათვალისწინებულია. იხ. 5.3.2.1. და 5.3.3.1 ნახაზები |
| 15 | გზმ-ის ანგარიშის 112-ე გვერდზე და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მე-10 ფურცელზე წარმოდგენილი ცხრილები არ შეესაბამება საპროექტო გამწმენდ ნაგებობას და საჭიროებს კორექტირებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. ზდგ-ს ნორმების პროექტის მე-10 გვერდი. |
| 16 | გზმ-ის ანგარიშის ცხრილში 3.2.5.1 მოცემული ინფორმაციის თანახმად, CW უჯრედების ქვაბულის ფსკერის მოპირკეთება მოხდება 20 სმ თიხით ან გეომემბრანით . 3.6 ქვეთავის თანახმად განხორციელდება გეომემბრანის (ჰიდროსაიზოლაციო ფენა) მოწყობა გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ფსკერის მოპირკეთების საკითხი; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზმ-ის ანგარიშში ცხრილი 3.2.5.1. |
| 17 | გზმ-ის ანგარიშის მე-11 თავში ჩანაწერი „ახალი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეულია ძველი გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია“ საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. მე-11 თავი |
| 18 | გზმ-ის ანგარიშში მე-3 გვერდზე წარმოდგენილი ჩანაწერი: „საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული N67 (25.12.2021. წ) სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების შესაბამისად გზმ-ს ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან ზემოაღნიშნულ პროექტზე | შენიშვნა გათვალისწინებულია. გზმ-ის ანგარიშში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეიცვალა შესაბამისი უწყებით. |

| | | |
|--|--|--|
| | <p>სკოპინგის დასკვნა N45 გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის 3 აგვისტოს, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე დოკუმენტის 191-ე გვერდზე წარმოდგენილი ცხრილთან მიმართებითაც. ამასთან, დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ მითითებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რაც საჭიროებს კორექტირებას;</p> | |
|--|--|--|